სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა № 17 – 12

ბათუმი. აღმაშენებლის ქ. 21 ნაპრილი 2013 წ.

შპს „E-2010" ე..საკანდელიძის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი") და მეორეს მხრივ სოფ. ტბეთის საჯარო სკოლა" დირექტორის ბესიკ დავითაძის სახით. ს/კ 247 861 513, მისამართი: შუახევის მუნიციპალიტეტი, სოფ. ტბეთი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად, ერთ პირთან მოლაპარაკების გზით, საკუთარი წესდებებით მინიჭებულ უფლებამოსილებათა ფარგლებში, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას, შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შემსყიდველისათვის საკანცელარიო და საოფისე საქონლის მიწოდება.

2 ღირებულება, ანგარიშსწორების ფორმა და წესი.

2.1 მხარეებს შორის ანგარიშსწორება წარმოებს უნაღდო ანგარიშსწორებით.

2.2. მიწოდებული საქონლის ღირებულება განისაზღვრება მიწოდებული საქონლის შესაბამისი ოდენობით.

2.3. თანხის გადახდა იწარმოებს სასაქონლო ზედნადების (ანგარიშფაქტურის) გამოწერიდან 1თვის ვადაში.

3. საქონლის მიწოდების პირობები

3.1. მიმწოდებლის მიერ საქონლის მიწოდება ხორციელდება – ბათუმი. აღმაშენებლის ქ.№21-დან.

4. მხარეთა უფლება-მოვალეობანი.

4.1 <u>„შემსყიდველი" ვალდებულია:</u>

4.1.1 უზრუნველყოს მისთვის მიწოდებული საქონლის შესაბამისი ანაზღაურების გადახდა მიმწოდებლისათვის წინამდებარე ხელშეკრულების პირობათა სრული დაცვით.

<u>4.2 „შემსყიდველი" უფლებამოსილია:</u>

4.2.1. „მიმწოდებლისგან" მოითხოვოს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონლის ხელშეკრულებით დადგენილი ოდენობითა და ვადაში მიდება.

4.2.2. „მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობათა შეუსრულებლობის შემთხვევაში შეწყვიტოს ხელშეკრულება.

4.2.3. თვით ან მოწვეული ექსპერტების მეშვეობით, დაუბრკოლებლივ განახორციელოს „მიმწოდებლის" მიერ გადაცემული საქონლის ხარისხის შემოწმება.

4.2.4. „მიმწოდებლისგან" მოითხოვოს საქონლის გადაცემის შესახებ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.

<u>4.3. „მიმწოდებელი" ვალდებულია:</u>

4.3.1. მიმწოდებელი ვალდებულიახელშეკრულებით დადგენილ ვადაში მოთხოვნილი ოდენობითა და ღირებულებით მიაწოდოს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი.

4.3.2. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში „შემსყიდველს" წარუდგინოს საქონელთან დაკავშირებით ნებისმიერი სახის ინფორმაცია და დოკუმენტები.

4.3.3. საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს შემსყიდველის მიერ გამოვლენილი საქონლის მდგომარეობასთან დაკავშირებული ყველა ნაკლის აღმოფხვრა.

4.3.4. საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებით მოთხოვნის შემთხვევაში წარუდგინოს „შემსყიდველს" მიწოდებული საქონლის შესახებ შესაბამისი პირველადი დოკუმენტაციის ასლები და ანგარიში, რომლის შემდეგაც ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით.

4.3.5. დაუყოვნებლივ აცნობოს „შემსყიდველს" ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობისა ან/და ხელისშემშლელ დაბრკოლებათა შესახებ.

4.3.6. ხელშეკრულების შესრულების პერიოდში სუბკონტრაქტების დადების აუცილებლობის წარმოშობის შემთხვევაში, წერილობით აცნობოს „შემსყიდველს" შესაბამისი თანხმობის მისაღებად.

<u>4.4. „მიმწოდებელი" უფლებამოსილია:</u>

4.4.1. „შემსყიდველისგან" მოითხოვოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულად და დროულად შესრულება.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი